

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2019 წლის 24 აპრილი

დაბა სტეფანწმინდა

„ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სამედიცინო და სოციალური დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 06/03 2019 090020020.35.151.016272) შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული პროგრამის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„-7. „ცელიაკითა და ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვების დახმარება(18 წლამდე)“;

2. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ა) ონკოდაავადებების მქონე მოქალაქეებისათვის, შშმ პირებისათვის, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულ იმ პირთათვის, რომელთაც მინიჭებული აქვთ 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა -არაუმეტეს 1000(ერთი ათასი) ლარით.

ბ) ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები ყველა სხვა სახის კატეგორიის მოქალაქისათვის-არა უმეტეს 500(ხუთასი) ლარით;

3. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული პროგრამის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9.„ყაზბეგის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სოციალური შემწეობის მიმღები, ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახის სტუდენტებისა და მაგისტრანტების სწავლის დაფინანსება აკრედიტებულ/ ავტორიზებულ სასწავლებლებში, აგრეთვე იმ ოჯახების, სადაც ორი და მეტი სტუდენტია (დაფინანსებას მიიღებენ სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ ბოლო სამი წელი ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ხოლო სტუდენტის ასაკი არ აღემატება 28 წელს);

1.სოციალური შემწეობის მიმღებ, ობოლ და მრავალშვილიანი ოჯახის სტუდენტებს, აგრეთვე იმ ოჯახიდან, სადაც არის ორი და მეტი სტუდენტი, სწავლის საფასური თითოეულ სტუდენტს დაუფინანსდება 80 %-ით(ყოველწლიური სწავლის საფასურის 2250 ლარის 80 %);

2. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტებია:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) სტუდენტის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) ატესტატის ასლი;



დ) ცნობა აკრედიტებული/ავტორიზებული სასწავლებლიდან სწავლის საფასურისა და შესაბამისი რეკვიზიტების შესახებ;

ე) მრავალშვილიანი ოჯახის მშობლების პირადობის ასლები, ქორწინების ასლი და ყველა შვილის დაბადების მოწმობის ასლები;

ვ) ობოლი ბავშვების შემთხვევაში - მშობლის გარდაცვალების მოწმობის ასლი;

ზ) სოციალურად დაუცველი ოჯახის შემთხვევაში-შესაბამისი ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან.“.

4. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული პროგრამის მე-11 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„მუხლი 11. ცელიაკითა და ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვების დახმარება“

5. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული პროგრამის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დახმარება გაიცემა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები ცელიაკითა და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვებზე ყოველთვიურად 170 ლარის ოდენობით (18 წლამდე);

6. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული პროგრამის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„ა) ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტებს ყოველთვიურად მიეცემათ დახმარება 200(ორასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გრიგოლ სეთურიძე

